საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/3337
12/07/2022

3337-21-2-202207121627

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“
მის: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. №2
ელ. ფოსტა: nino.erkomaishvili@gse.com.ge

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №2325 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, სოფ. გუმბრაში, ჯვარი-წყალტუბოს 500 კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზისა და ქვესადგურის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას (ორი მისასვლელი გზის ნაცვლად ერთის მოწყობა).

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და მოცემული უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული მისასვლელი გზის GPS კოორდინატები;
- მანძილი საპროექტო ტერიტორიიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე, სიტუაციურ რუკაზე დატანით;
- ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული გზისა და მილხიდის მოწყობისათვის საჭირო სამშენებლო სამუშაოების შესახებ ინფორმაცია;
- 3.1 თავში მითითებულია, რომ მშრალ და ქარიან ამინდში, მტვრის გავრცელების პრევენციის მიზნით, განხორციელდება გზის გრუნტიანი ნაწილის პერიოდული მორწყვა. შესაბამისად, დოკუმენტში წარმოდგენილი უნდა იყოს ტექნიკური დანიშნულებით წყალსარგებლობის შესახებ ინფორმაცია. ასევე, დაზუსტებას საჭიროებს სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლით სარგებლობის საკითხი;
- 3.4 თავში აღნიშნულია, რომ ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში დაგეგმილია არხზე გადასასვლელი მილხიდის მოწყობა, თუმცა, აღნიშნული არხისა და მილხიდის შესახებ ინფორმაცია (GPS კოორდინატების მითითებით) წარმოდგენილი არ არის;
- სკრინინგის განცხადებაში, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებების გათვალისწინებით, ნიადაგზე მოსალოდნელი ზემოქმედება (მოსახსნელი

ნიადაგის მოცულობა, ფართობი) შედარებული უნდა იყოს თავდაპირველი პროექტით (გზშ-ის ანგარიში) გათვალისწინებული ზემოქმედების მასშტაბთან;

- 3.3.1.8 თავში მითითებულია, რომ ქვესადგურამდე მისასვლელი საგზაო მარშრუტის თავდაპირველი ვარიანტის განხორციელების შემთხვევაში, საჭირო იყო წითელი ნუსხის სახეობის - იმერული მუხის პოპულაციაზე ზემოქმედება, ხოლო საპროექტო ცვლილებით განსაზღვრული მისასვლელი გზა კონსერვაციული თვალსაზრისით მისაღებია, რადგან ის, ძირითადად, ნაკლებად ღირებულ ჰაბიტატებს (ინვაზიური ხე-მცენარეებით შექმნილ წარაფები და მდელოები) მიუყვება. დოკუმენტში მოცემული უნდა იყოს მცენარეულ საფარზე მოსალოდნელი ზემოქმედების შედარება თავდაპირველ პროექტთან, ჭრას დაქვემდებარებული სახეობებისა და მათი რაოდენობის მითითებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო